ხუთშაბათი 9 ივლისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლის [illegible] ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 124 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 124

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"

ტელეფონი № 76.

ქვრივი ივლიტა გაბრიელის ასული კოსტავასი, ძმისწულები: იაკობ, ანდრიან და დავით პავლეს ძენი კოსტავები, დისწული ნინა დიმიტრის ასული ყორყოლაძისა, და სიძე ნიკოლოზ თეიმურაზის ძე ყორყოლაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი ქმრისას, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი ბიძისას

**გიორგი ბეროს ძის კოსტავასას.**

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 9 ივლისს, საკუთარ სახლიდან დადიანის ქუჩაზე დილის 8½ საათზე, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში, წირვის და წესის აგების შემდეგ, დაკრძალვა იქნება საფიჩხიის ეკლესიის გალავანში.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

ცალკე ბარათებით დაპატიჟება არ იქნება.

3—3—509.

## განცხადება.

ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა, დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ასას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს" რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—4 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სობოროსთან, რიქინაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი

**ერქომაიშვილისა და ამხ.**

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,

ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა

ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში.

10—4 პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

**ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი**

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.** პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს" რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

**გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

**დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი რელიგიონი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

**კბილის ექიმები მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**კერძო ექიმი მიხეილ კაშია** კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო **„რადიუმი"** თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან 9 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

**ლუზიტანიის დაღუპვა, ანუ მილიარდერის სიკვდილი.**

**ექიმი გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

# ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. რუსებმა დაიკავეს ლიზი და განაგრძეს ოსმალების დევნა. ოლთისის გზით ოსმალები შეებრძოლნენ რუსების სადარაჯო რაზმს, მაგრამ ოსმალოები გაფანტეს. აგრეთვე არდოსტის რაიონშიც ოსმალოები თავს დაესხენ რუსების სადარაჯო რაზმს, მაგრამ აქაც დამარცხდენ. ოსმალონი ვერაფერს გეხდენ აგრეთვე სევრიჩაის რაიონში.

აღმოსავლეთის ასპარეზზე ბრძოლა წინანდებური სისასტიკით და სიმკაცრით დაუცხრომლათ სწარმოებს. არც ერთ მხარეს შესვენება არ სურს. გერმანელებმა მიაღწიეს ტუკუმ-დობლენის ფორტამდე. აქედან გერმანიის არმია მიესწრაფება ჰოფცუმბერგსა და ბენენისაკენ. ამ ნაირათ, ამ რაიონში გერმანელები მიტავას უახლოვდებიან. პოპელიანთან რუსები სდევნიან გერმანელებს. შავლისთან გერმანელების იერიში მოიგერეს ნემანის იქითა რაიონში რუსებმა დაიბრუნეს დაკარგული თხრილები. გერმანელები განაგრძობენ იერიშს ნარევის პირზე. რუსები თავს იყრიან ნარევის სახილდ სიმაგრეებთან. ეს სიმაგრეები ძლიერ გამაგრებულია და რუსის ჯარს აქ რამდენიმე ციხე-სიმაგრე ფარავს. ამის გამო ამ ადგილებს რუსები ასე ადვილად არ დაუთმობენ გერმანელებს და აქ სასტიკი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ლიუბლინ-ხოლმის ხაზზე ცხარე ბრძოლები წინანდებური სისასტიკით გრძელდება. გერმანელებმა ხელთ იგდეს კრასნოსტავი და მისი ზემო ფონები. გრაბოვეცის და გრუბეშოვის რაიონში რუსის ჯარი გერმანელების იერიშებს იგერიებს. აქაც დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი, რადგანაც აქ გერმანელებს სურთ რკინის გზის ხელში ჩაგდება. სოკალის ხაზზე ავსტრო-გერმანელები გადავიდნენ მდ. სკომოროხზე.

დნესტრის რაიონში ბრძოლა გრძელდება.

ბრძოლა ყველა იდგილას თანდათან მწვავდება და ყველგან ერთნაირი ენერგიით სწარმოებს. რაიმე ხიფათი ერთ უმნიშვნელო ადგილზე მთელი კომპანიის კატასტროფას გამოიწვევს და ამის გამო გერმანელები ლამობენ, რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ბრძოლა აღმოსავლეთის ასპარეზზე.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

### კავკასიის ასპარეზი.

**თბილისი.** 4 ივლისს ზღვის პირის რაიონში საარტილერიო სროლა იყო. რუსების მოტორიანმა ნავმა ოსმალების დატვირთული ნავი დალუპა. ოლთისის გზით ოსმალების მზვერავები წააწყდნენ რუსების სადარაჯო რაზმს, რომელმაც გაჰფანტა ოსმალები. ბევრი დაჰხოცეს. არდოსტის რაიონში ოსმალების მზვერავები შეეცადნენ თავს დაჰსხმოდნენ რუსების სადარაჯო რაზმებს. ოსმალებმა ხელის ყუმბარები იხმარეს, მაგრამ რუსებმა ყველგან მოიგერიეს. სევრიჩაის ხაზით 4 ივლისს ღამე რუსების მზვერავებით დაშინებულმა ოსმალებმა უთავბოლო სროლა ასტეხეს, აუარებელი ტყვია-წამალი დახარჯეს, მაგრამ რუსებს ვერავითარი ზარალი ვერ მიაყენეს. მუშის ხაზით ბრძოლა გრძელდება: რუსების ჯარის ერთმა ნაწილმა ლიზი დაიჭირა და განაგრძო ოსმალების დევნა. დანარჩენ ბრძოლის პირზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

### უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 6 ივლისი. რიგა-შავლის რაიონში მტრის ჯარმა ტუკუმ-დობლენის ფორტამდე მიაღწია. 5 ივლისს ეს ჯარი იწევდა ჰოფცუმბერგესა და ბენენისკენ. სოფელ ოკმიანის ჩრდილოეთით ყაზახებმა ზურგით მოუარეს მტერს და ხელთ იგდეს მებარგული ურმები. პოპელიანის რაიონში რუსები სდევნიან მტერს. გერმანელთა იერიში შავლისთან 5 ივლისს ღამე რუსებმა მოიგერიეს. ნემანის იქითა რაიონში რუსებმა გარეკეს გერმანელები უკანასკნელი თხრილებიდან, რომლებიც 2 ივლისს ხელთ იგდეს გერმანელებმა. ნარიოვის პირზე გერმანელები იერიშით მოდიოდნენ.

ამასთანავე პისას მარჯვენა ნაპირას 6 ივლისს ღამით მტერმა შემოუარა სოფელ პორედის, შკვას მარცხენა ნაპირას კი მისი იერიშები სოფ. ზიკისა და პშენიაკის წინაღმდეგ მოგერიებულ იქნა რუსების მიერ. ომულევიდან დასავლეთით რუსების ჯარმა თანდათან თავი მოიყარა ნარიოვის სახიდო სიმაგრეების გარშემო. ამასთანავე 4 ივლისს საღამოთი სასტიკი საარიერგადო ბრძოლები მოხდა ქალაქ მაკოვთან, სოფ. კარნევოსთან კი ერთმა პოლკმა რუსებისამ ბრწყინვალე კონტრ-იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. ლიუბლინის რაიონში გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ ველკოლავაბიხავას პირზე, მაგრამ 5 ივლისის განმავლობაში იერიშები მოგერიებულ იქნა. 5 ივლისს განთიადისას გერმანელებმა ხელთ იგდეს კრასნოსტავი და მის ზემოდ ფონები. 5 ივლისის განმავლობაში გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ რიბჩევიცედა სოფ. პიასკისაკენ მდინარე რუდან დაწყებული მდ. ვეპრჟამდე, მაგრამ იერიშები უშედეგო იყო. მდ. ვეპრჟის მარჯვენა ნაპირას კრასნოსტავთან და მდ. ვოლიცაზე ბევრი სასტიკი იერიში მიიტანეს გერმანელებმა, მაგრამ ვერას გახდნენ.

მდ. ვოლიცას შესართავთან და სოფელ გაევნისთან გერმანელებმა მოახერხეს მარჯვენა ნაპირას გამაგრება; ამის შემდეგ საჭიროდ დაინახეს რუსების ჯარი მეორე ხაზის პოზიციებზე გადაეყვანათ. სოფ. გრაბოვეცის რაიონში 5 ივლისს რუსებმა მოიგერიეს ოთხი გაათროებული იერიში გერმანელებისა, რომელიც მათ მოჰქონდათ ფართო პირზე არტილერიის გრიგალისებური სროლით. გუჩვასა და ბუგს შუა 4 ივლისს საღამოს გამწვავებული ბრძოლის დროს რუსებმა განდევნეს მოწინააღმდეგე ყველა წინად დაპყრობილი პოზიციიდან. ბუგზე ენერგიულად ებრძვიან მტრის რაზმებს, რომელნიც გადავიდნენ მდინარე სკომოროხი-სოკალის ხაზზე,

ბრძოლა 5 ივლისსაც გრძელდებოდა. დნესტრზე ბრძოლა წინანდელ პირზე სწარმოებს. დანარჩენ პირზე შესამჩნევი შეტაკებანი არ მომხდარა.

**სევასტოპოლი.** 6 ივლისი. შავი ზღვის ფლოტის გემებმა ზარბაზნები დაუშინეს ქვა-ნახშირის რაიონს და ზონგულდაკს, სადაც დასწვეს დიდი ქვა-ნახშირის გემი, აგრეთვე დაანგრიეს სანაპიროს შენობები. რუსების ნაღმოსნებმა ზღვაში ნახეს ოსმალოთა სამი ხომალდი სავსე ქვა-ნახშირით. მათ მეზღვაურები გადაიყვანეს, ხომალდები კი დალუპეს. მეზღვაურები სევასტოპოლში მიიყვანეს.

**პეტროგრადი.** 6 ივლისი. უმთავრეს შტაბის მთავარ გამგეობისაგან. „ჩვენი მოწინააღმდეგენი არ ზოგავენ ძალას, რათა გაავრცელონ ჩვენს შესახებ არა სასურველი მოგონილი ამბები ყოველგვარი ხასიათისა და დიდ ფასსა სდებენ ამ ჭორების დაბეჭდვას ნეიტრალურ ქვეყნების პრესაში. მაგალ., შვეციის გაზეთში, მათი ბერლინელ კორესპონდენტების ცნობით, გადმოცემული იყო, რომ რუსებმა ბუკოვინაში და დნესტრზე დიდი ზარალისა გამო ავსტრიელებს დროებითი ზავი სთხოვეს დაჭრილ-დახოცილთა ასაკრებად. მართლაც ზავი ჩამოგდებული იყო ოთხი საათის განმავლობაში. ამ ზავის დროს ვითომც ავსტრიელებს შეძლება ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, თუ რა საშინელი ზარალი მოუვიდათ აქ რუსებს, რამაც აიძულა ისინი რამდენიმე კილომეტრით უკან დაეხიათ. ზემოდ მოყვანილი ცნობა მტკნარი სიცრუეა. დნესტრზე და ბუკოვინაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ დაგვეწყოს მოლაპარაკება ზავის ჩამოგდების შესახებ დაჭრილ-დახოცილთა ასაკრებად, რადგან ასეთი საჭიროება ჩვენ არა გვქონია“.

**პარიზი.** 5 ივლისი. სად. ოფიც. ცნობა. არტუაში ირგვლივ ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. არრასს დაეცა 12 დიდი ყუმბარა. მაასის მარჯვენა მხარეზე ქვეითა ჯარის მოქმედება გაძლიერდა. დილას კონტრ იერიშით სანგრების ნაწილი დავიბრუნეთ სონვას ხევის სამხრეთ მხარეზე გუშინ რომ აიღო მტერმა. დღით გერმანელებს უშედეგოთ მოქონდათ იერიშები ცეცხლის გამჩენ სითხით. ამ ბრძოლებში მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 2 აფიცერი და სხვა და სხვა პოლკის 200 მეტი ჯარის კაცი. სხვა ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი.** 5 ივლ. ფრენჩი იუწყება: მდგომარეობა უცვლელია. საყურადღებო ბრძოლები არ მომხდარა 26 ივნისიდან, მაგრამ მნიშვნელოვანი მოქმედება არ შეწყვეტილა: ორივე მხრივ აფეთქებდნენ ნაღმებს და ფრონტის ნაწილებზე სასტიკად ისროდნენ. სამ შემთხვევაში მტერმა მოახერხა ჩვენი სანგრების დაპყრობა, მაგრამ გავაძევეთ. ამ იერიშების დამახასიათებელი ისაა, რომ სასტიკი სროლის გარდა მტერი ისროდა მრავალ ყუმბარებს, რომელნიც სულის შემხუთავ გაზებს ანვითარებდენ.

**ჰილმისტადტი.** 6 ივლისი. ჰოლანდიის სამთავრო ოლქის სოციალისტების ჯგუფის ინიციატივით 5 ივლისს შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი პროტესტისა ომში ჩარევის აგიტატორების წინააღმდეგ, ეგრეთ წოდებული „აქტივისტების“ წინააღმდეგ. დეპუტატ ტორსენის სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც კრებამ ენერგიული პროტესტი განაცხადა შვეციის ომში ჩარევის ცდის წინააღმდეგ, და იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა მომავალშიაც მკაცრ ნეიტრალიტეტს დაიცავს.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

**კოპენჰაგენი.** „ბერლინილერ ტაგებლ“. ვოლფი აქებს რა ბულგარიის ელჩის რიზოვს აცხადებს რომ გერმანიას შეუძლია სრულიათ არგუნოს ანგარიში რუმინიას და თუ საჭირო იქნა გერმანელები გამოვლენ მის წინააღმდეგ ბულგარეთთან ერთათ.

**კოპენჰაგენი.** „ნიუიორკ-ტრიმ“ სწერს, რომ გერმანელების პასუხი შეურაცხყოფაა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისა და მოითხოვს ამერიკულ ელჩის ჟერარდის ბერლინიდან გამოწვევას.

### წითელი წიგნი.

**სტოკჰოლმი.** ვენიდან იუწყებიან, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მოზრდილი „წითელი წიგნი“, რომელიც წარმოადგენს დიპლომატიურ დოკუმენტებს ავსტრო იტალიის მოლაპარაკებათა 7 ივლისის 1914 წლიდან 1915 წლის 10 მაისამდე.

დამატებაში დაბეჭდილია აქტები 1909, 1911—1912 წლებისა.

### სპარსეთის კაბინეტის კრიზისი.

ეინ-უდ-დოულეს თანამდებობიდან გადადგომა შაჰმა მიიღო, მაგრამ ამით კრიზისი არ გარკვეულა. ინტრიგები და მოლაპარაკება გრძელდება.

— —

ბუშირიდან ინგლისელმა მისიამ ცნობა მიიღო გერმანელების აგიტაციის ახალი მსხვერპლის შესახებ. მოკლულია ორი ინგლისელი ოფიცერი და რამოდენიმე ჯარის კაცი დაჭრილი. ეს შემთხვევა ხელს შეუწყობს მინისტრების კრიზისის გაძლიერებას.

### დეპუტატების მოწვევა პეტროგრადში.

სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ლიდერებმა დეპუტატებს ტელეგრამით აცნობეს, რომ მოწვეული არიან პეტროგრადში არა უგვიანეს 10 ივლისისა.

„რეჩ“.

### საინტერესო საუბარი.

გაზეთ. „რ. ს.“-ში მოთავსებულია საინტერესო საუბარი. ავ. ამფიტიატროვის და იაპონიის ელჩის რომში მარკოზ გაიაშის შორის.

მარკოზ გაიაში აღნიშნავს პირველ ყოვლისა იმ სასიამოვნო ფაქტს, რომ რუს-იაპონიის კავშირი იწვევს საერთო კმაყოფილებას, როგორც იაპონიის საზოგადოებაში, ისე იაპონიის დღევანდელ მთავრობის წრეებში.

თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რუსეთთან კავშირი იაპონიის ერისათვის წარმოადგენს პოლიტიკურ მრწამსს. ის აღიარებს რუსეთის პირველ ხარისხოვან პოლიტიკურ ინტერესებს მახლობელ აღმოსავლეთში თავისუფალ მიმოსვლას რუსეთისას მსოფლიო ბაზარზე. თავის მხრით რუსეთიც მზათაა აღიაროს ისტორიული აუცილებლობა, როგორც არის იაპონიის მისწრაფება აღმოსავლეთ აზიაში და მისი უმთავრესი ინტერესები წყნარ ოკეანზე. მხოლოთ ამ ნიადაგზე, ურთი-ერთ ეროვნულ ინტერესების მიღებაში და დაცვაში შესაძლოა რუსეთ-იაპონიის კავშირის განმტკიცება.

— —

იაპონიის ელჩი კატეგორიულათ უარყოფს გერმანელებიდან გავრცელებულს ხმებს, ვითომ იაპონიის მთავრობა წინააღმდეგი იყო რუსეთის განმტკიცებაზე მარმარილოს სრუტეებში. საინტერესოა მარკიზ გაიშის განცხადება იაპონიის დღევანდელ ომში ჩარევაზე. იაპონიაში არავინ არ ყოფილა წინააღმდეგი ჯარის ევროპაში გაგზავნის შესახებ. იაპონიის ერმა მოკავშირეებს სიტყვა მისცა დიდ ომში დახმარებისათვის და შეასრულებს კიდეც ამ სიტყვას, მხოლოდ ამ სიტყვის სისრულეში მოყვანას წინ ელობება ტეხნიკური დაბრკოლებანი, როგორც მაგალიდათ არის გადმოყვანა მეკადოს დიდი ჯარის ვ. ოკეანზე.

შემდეგ ფინანსიური ხასიათის კითხვები უნდა ვაღვიაროთ, რომ იაპონიის მონაწილეობა ევროპიულ ომში წარმოადგენს პატიოსნების წინაშე მოვალეობას, ვიდრე თავის საკუთარი ინტერესების დაცვას. ეს ნაკარნახევია მხოლოთ უმაღლესი პოლიტიკური მოფიქრებით.

ამისთვის, ამბობს გაზეთი, ულრმესი კმაყოფილებით მოვისმინეთ ჩვენ ავტორიტეტულ განცხადებას მარკიზ გაიაშისა, რომ იაპონიელები მივლენ იქ, სადაც დაუძახებს მათ მოკავშირეები, ინგლისის-საფრანგეთის ფრონტი იქნება ეს, ფლანდრიის, თუ დარდანელისა დიდებული ერი შორეულ აღმოსავლეთისა არ დაიგვიანებს თავისუფლებისათვის და სამართლიანობისთვის მებრძოლთა დახმარებას. გერმანიამ უკვე ერთხელ განიცადა აღმომავალი აზიის შვილთა ძლიერი ხელი, რომელმაც რაოდენიმე თვის განმავლობაში დაკარგა თვისი სიმაგრე კიაუ ჩაოში, რომელიც ოფიციალურათ აუღებლათ ითვლებოდა.

და თუ მოკავშირეებს ეჭვი ეპარებათ გამარჯვებაში, ეს არის ნაკარნახევი გერმანელებიდან და არასაღი მოსაზრებით.

თუ იაპონია დღეს კიდევ გაჩერებულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ საჭირო არ არის ასეთი ძლიერი რეზერვის დახარჯვა.

### ვილჰელმის ჩამოსვლა ლოძში.

ბერლინიდან ვილნაში ჩამოსული ლოძელი მექარხნე იუწყება, რომ ვილჰემი ლოძს ეწვიაო. ხალხის წარმომადგენლების წინაშე მან სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ მისი მისსიაა დაიხსნას ხალხი და დაამკვიდროს მათ შორის მშვიდობიანობა. სიტყვის დასრულების შემდეგ, დამსწრეთ დაურიგდა ბროშურები პოლონურ, რუსულსა და ებრაეულ ენებზე სათაურით: „გერმანია არის მხსნელი დამონებულ ხალხთა“. „დენ“.

— —

შვეიცარიის გაზეთების ცნობით, გერმანია უკვე შეუდგა საზამთრო მზადებას. ახლა ხან მან შეუკვეთა 500 ათასი შინელი და თბილი ლაფჩინების დამზადება. აგრეთვე ერთგვარი ფეჩები თხრილებისათვის.

დ.

— —

მტერს ძლიერი ძალით — იერიში მიაქვს მდინარე ორჟიცის და ლიდინის შუა. ჩვენმა ჯარმა მეორე ხაზის პოზიციებზე დაიწია.

არგონში [illegible] ხელახლათ დამარცხდა.

გერმანელებმა არრას ყუმბარები დაუშინეს და რაოდენიმე ადგილს ცეცხლი გააჩინეს.

— —

ინგლისის ახალი სამხედრო სესხი 600 მილიონს უდრის.

— —

14 ივლისს საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული აღნიშნული იყო მარსელიეზის ავტორის რუჟე-დელილის ნეშტის ინვალიდის სასახლეში გადმოტანით.

შვეციაში მოხდა მიტინგი ომის მომხრეების წინააღმდეგ, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

**ლონდონი.** ტაიმსის კორესპონდენტის ცნობით, გერმანელებიდან შესყიდული დიდი ნაწილი რუმინიის პურისა, გაგზავნილი იქნება ავსტრიაში. „ნ. ვ.

**დაირენი.** გუშინ ექიმმა კიმურამ მოაწყო იაპონიელი წითელი ჯვრის რაზმი. რაზმი შესდგება 4 ექიმისა 2 თანაშემწეებისა და 20 მოწყალე დებისაგან. რაზმი მიემგზავრება რუსის ჯარის ფრონტზე.

## სამი საშუალება.

ჩვენი პრესა კვლავ ერთა სოლიდარობაზედ ალაპარაკდა. ჩვენი ბეჭდვითი ორგანოები ყველა საჭიროთ სთვლიან ამ სოლიდარობას, მაგრამ იშვიათად თუ იძლევა რომელიმე გაზეთი ნამდვილ სურათს მომავალ სოლიდარობისას. აღსანიშნავია მეორე გარემოებაც—ერთა სოლიდარობა რაღაცა მანქანებით მარტო ქართველების საკითხად იქცა.

არა სჩანს, რომ ჩვენი მეზობელი ერები იმდენს ლაპარაკობდნენ ამ სოლიდარობაზედ, რამდენსაც ჩვენ. გამოდის რომ საკითხის გადაწყვეტა მარტო ჩვენ გვიკარია. ასეთ პირობებში ცხადია საკითხი ვერ გადაწყდება. ჩვენ გვესაჭიროება მტკიცე გარანტიები იმისა, რომ ის ერები, რომელთაც შეეხება ეს სოლიდარობა, ისევე მოწადინებულნი არიან სოლიდარობის პრინციპის განმტკიცებისა, როგორც ჩვენ. ეს კი ჯერჯერობით არა სჩანს. ქართველთა და სომეხთა სოლიდარობაზედ ლაპარაკი მაშინ, როცა სომხებმა თავისი ეროვნული საკითხები მსოფლიო ომის შედეგებს დაუკავშირეს და საქართველო კი ამ ომის გავლენის და შესაძლო შედეგების გარეშე რჩება, ან

---

# მეისტორიე დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე და მისი ღვაწლი.

(გაგძელება იხ. „სამშ,“ № 123-ში.)

აჭარაშივე იყო დიმ. ბაქრაძე ამ მხარის საქართველოსთან შეერთების შემდეგაც. ამ ხანად შეავსო ამ ქვეყნის თვისი წინანდელი აღწერილობა. 1881 წელს ქალ. თფილისში მოხდა არხეოლოგთა მეხუთე კონგრესი... საკონგრესო სამზადისში დიმ. ბაქრაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამ კონგრესზე წაიკითხა რეფერატები საქართველოს ისტორიიდან... რომელთ მეოხებით კონგრესის წევრთა ყურადღება მიიქცია. მისი სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაშიც. კონგრესის წევრები გაემგზავრნენ გელათის მონასტრის დასათვალიერებლათ, მათ გაჰყვა დიმ. ბაქრაძეც, რომელსაც გორის სადგურზე უბედურება შეემთხვა: კინაღამ მატარებელ ქვეშ მოჰყვა. გადარჩენით გადარჩა, მაგრამ ფეხი ისე დაუშავდა, რომ კარგა ხანს იძულებული იყო სახლში წოლილიყო... უბაქრაძეობას კონგრესის წევრები გრძნობდნენ გელათში, და მათს გამგზავრებას ამ მონასტერში მაინცა და მაინც შესამჩნევი რამ ნაყოფი არა მოჰყვა რა. გელათის შესანიშნავი ნაშთები ისევ შეუსწავლელი დარჩა. 1888 წელს გელათი ინახულა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ თვისი უავგუსტოესი სახლობით მან დიდი ყურადღება მიაქცია გელათის შესანიშნავ მონასტერს და პეტროგრადიდამ გამოგზავნა პროფესორი კონდაკოვი მისი ნაშთების შესასწავლად. პროფესორი ბაქრაძესთან ერთად შრომობდა გელათის მონასტერში... კონდაკოვმა შეადგინა შესანიშნავი გამოკვლევა გელათის ნაშთებისა, რომელთა მიერ იგი აღტაცებული დარჩა.

დიმ. ბაქრაძემ გამოსცა თავისი რედაქციით და მრავალი შენიშვნით ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია... ეს შენიშვნები ამტკიცებენ, რომ ბაქრაძე მრავალ საისტორიო ცოდნით (ერუდიციით) იყო აღჭურვილი...

ეს გამოცემა ითვლება დღესაც საუკეთესო კლასიკურ გამოცემად: აზის ბეჭედი მეცნიერებისა და მეცნიერულად შესრულებულის გამოცემისა.

მანვე ხელი მიჰყო საქართველოს ისტორიის შედგენას მეცნიერულ ნიადაგზე... საამისოდ დრო უკვე მომწიფდა, 1885 წლის შემდეგ შესაძლებელი იყო ამ აზრის განხორციელება: მრავალი საისტორიო მასალა იყო შესწავლილ-გამოკვლეული. მან მოასწრო გამოეცა თვისი ისტორიის მხოლოდ პირველი ტომი, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას უძველეს დროიდამ მეათე საუკუნის დასასრულამდის, ე. ი. იმ დრომდის, როდესაც დანაწილებული რამდენიმე თემებად საქართველო ბაგრატ მესამემ შეაერთა თვის კურთხეულ სკიპტრის ქვეშ.. ვინც რამდენადმე გაცნობილია მეცნიერთა მოთხოვნილებას ისტორიის შესახებ, დ. ბაქრაძის საქართველოს ისტორიის გაკვრითი გასინჯვითაც მიხვდება, რომ ეს ისტორია სულ სხვაგვარია, სხვა საძირკველზედაა აღშენებული.. საქართველოს ისტორიის დასაწყისი პირველად მან თამამად გასწია მეცნიერულად უძველეს დრომდის, როდესაც ქართველთა ტომებს ქეტეველებს, ურარტელებს, თუბალებს, ხალიბებს, კოლხებს და მასხებს უწოდებდნენ... მაგრამ უწყალო სიკვდილმა აღარ დააცალა მას დაემთავრებინა თვისი შრომა... მას უკან განვლო 23 წელიწადმა, და ძლივს გვეღირსა მეცნიერულად შემუშავებული ისტორია საქართველოსი, შედგენილი პროფეს. ივანე ჯავახიშვილის მიერ, რომელიც ეკუთვნის პროფ. ნიკ. მარრის დიდ მეცნიერულად მშრომელ საისტორიო სკოლას, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა ჩვენი ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

აღსანიშნავია დიმ. ბაქრაძის ღვაწლი კავკასიის არხეოგრაფიული კომისიის შრომაში. ამ კომისიას შეადგენდნენ ბერჟე, ბაქრაძე და ბერძენოვი. მას დავალებული ჰქონდა შეეგროვებინა და დაებეჭდა საქართველოს მეფეთა, მთავართა და სხვა საპატიო პირთა და აგრეთვე რუსის მოხელეთა წერილობითი საბუთები, რომელნიც შეეხებოდნენ რუსთა ბატონობის ჩვენში დამყარების პირველ ათეულ წლებს.

დიმ. ბაქრაძემ თარგმნა რუსულად თავის შენიშვნებით ვახტანგ მეექვსის ქართული კანონები. თარგმანი გამოსცა ვექილმა ფრენკელმა 1887 წელს.

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის დიმ. ბაქრაძეს ქართული ძველი ხელნაწერების ხასიათის შესწავლაში... ანუ ქართულ პალეოგრაფიაში ისეთი პალეოგრაფოსი იყო, რომ ერთი შეხედვით შეატყობდა, თუ რომელი ხელნაწერი რომელ საუკუნეს და ან რომელ მის მიერ გაცნობილ ისტორიულ მოღვაწეს ეკუთვნოდა.

დიმ. ბაქრაძემ 1888 წელს რუსეთის მთავრობის მონდობილობით დაათვალიერა სტამბოლის სახელმწიფო არქივში დაცული სიგელები და სხვა საბუთები სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთა მიწათ მფლობელობის შესახებ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე ქართულ ნუმიზმატიკას ანუ ძველ ფულების შესწავლას, რასაც შეუძლია რიგიანი სამსახური გაუწიოს ისტორიის შესწავლის საქმეს დიმ. ბაქრაძეს ეკუთვნის მრავალი სხვა წვრილი და დიდი წერილი საქართველოს ისტორიის შესახებ. მისი წერილები იბეჭდებოდა სხვადასხვა დროულ გამოცემებში და ცალკე წიგნაკებადაც. მათი გავრცელების მეოხებით ქართველ ხალხს ასე თუ ისე აღეძრა წყურვილი თვისი წარსულის შესწავლისა... დაიბეჭდა ცალკე წიგნაკებად ზ. ჭიჭინაძის გამომცემლობით დიმ. ბაქრაძის შემდეგი ნაწერები:

1. მირიანე მეფე და წმ. ნინო:
2. ბაგრატ IV.
3. ვახტანგ VI.
4. მიტრიდატ დიდი.
5. საქართველო ანდრიაპოლის დროს.
6. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინადროებზე და სხვანი.

დიმ. ბაქრაძე კარგად ხედავდა, რომ დროთა მავლელობის ყოვლად შემმუსრავი ხელით ილუპებოდა მრავალი ისტორიული მოძრავი განძი... ისტორიულს ერს ეკარგებოდა სამუდამოდ თავისი წარსულის სიამაყე, თვისი ძველი დიდების ნაშთები. მათი ერთ ადგილს შეკუჩება და შეგროვება, ერთ ჭერქვეშ მოთავსება—მისთვის მუდამ შეადგენდა საზრუნავ საგანს. ამის გამო იშუამდგომლა ეგზარხოსების წინაშე, და ამის მეოხებით 1889 წელს დაარსებულ იქმნა ტფილისის სიონის ტაძრის ეზოში საეკლესიო სიძველეთსაცავი, რომლის თავმჯდომარედაც იქმნა იგი დანიშნული ეგზარხოსის პალლადის მიერ. დღეს ამ სიძველეთსაცავში თავმოყრილია მრავალი ისტორიული განძი, რომელნიც მეცნიერთა ყურადღებას მიიქცევენ.

ი. ფერაძე.

(დასასრული ხვალ).

სომხებთან ბაასი იმის შესახებ, რომ ჩვენთან სალიდარობაზედ იფიქრონ ამ ჟამად—ეს იმას ნიშნავს, რომ სომხები მსოფლიო პოლიტიკის სფეროდან გამოვიყვანოთ და კავკასიურ პოლიტიკაში ჩავითრიოთ. ისინი ამაზედ არ დაგვენებდებიან. ეს არის სწორეთ მიზეზი, რომ ჩვენს კამათს ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამრიგად მხოლოდ ქართველები ვეკამათებით ერთმანეთს იმ საკითხებზედ, რომლებიც ჩვენს გარდა სხვებსაც შეეხება. ჩვენში რომ ერთხელაც არის გამართლებულიყო პარადოქსი — კამათი ჭეშმარიტებას შობსო, იქნება არც ეს კამათი ყოფილიყო უმნიშვნელო. მაგრამ ამ კამათმა უფრო არია საკითხი. „სახალხო ფურცელმა" მედიდურათ გადახედა „საქართველოს" და პასუხიც არ აკადრა მას, ალბათ, იმ იმედით, რომ მის შეხედულებას „თანამედროვე აზრი" გაიზიარებდა, მაგრამ მოტყუებულ ქალწულად დარჩა. პირველს უარი უთხრა და მეორისაგან კი თვით მიიღო უარი. ეს რომ ასე იქნებოდა, მე ეჭვი არასოდეს არ მქონია. „სახალხო ფურცელს" იმედები გაუცრუვდა და კაცმა რომ სთქვას, ახიც არის, ყველა ქათამმა თავისი ქანდარა უნდა იცოდეს!

სხვათა შორის, ამ კამათმა გამოაშკარავა აგრეთვე, რომ ხშირად ძალათი ვიხმობთ სურვილს საკითხს ღრმად ჩავუკვირდეთ. სრულებით დაუმსახურებლათ მიმაჩნია ის სიტყვები, რომლითაც ახასიათებს „საქართველო" „თანამედროვე აზრს". მე არ ვიცი დაეთანხმება „თანამედროვე აზრი" ჩემს განმარტებას თუ არა, მაგრამ მე მაინც მსურს მისი შეხედულება ისე ავხსნა, როგორც ეს მე მესმის. იმ ფაქტში, რომ „თანამედროვე აზრი" უარყოფს პროგრამას, რომელიც ტერიტორიის გამიჯვნის პრინციპზეა აგებული — გამონასკულია ფოკუსი და მწარე სინამდვილე მთელი თანამედროვე ქართული პოლიტიკისა. ამ შეხედულებაში გარკვეულია სწორი და მისაღები ფორმულა, მაგრამ ამ შინაარსს ისეთი ფორმა აქვს მიცემული, რომელსაც სამწუხაროთ ჯერ ვერ შეეჩვია ჩვენი სმენა.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ეროვნული პოლიტიკა ჩვენის დასელებისა უფრო რთულია, ვიდრე ,ჩვენი—ნაციონალისტებისა. ამიტომ ხდება, რომ ერთმანეთისა არ გვესმის. ავიღოთ კონკრეტიული მაგალითი ტერიტორიის საკითხისა და დაუპირისპიროთ ჩვენი და დასელების აზრი მის შესახებ ერთმანეთს.

ტერიტორიალური საკითხი ჩვენთვის, ნაციონალისტებისთვის მარტივი რამ არის. საქართველოს ტერიტორიის საზღვრები ჩვენ იქ გაგვყავს, სადაც ისტორიული საქართველოა. ამას ის მოსდევს, რომ ამ საზღვრებში ცმწყვდევა არა ქართული ელემენტიც. ჩვენ ამის გასამართლებელი საბუთი გვაქვს და ჩემის აზრით მტკიცე საბუთიც. კავკასიის კალეიდოსკოპურიეტნოგრაფია სრულ შეძლებას არ გვაძლევს, რომ საზღვრები ისე გავატაროთ, რომ ეროვნული სიჭრელე მთლად მოისპოს. მაგალითი: ბორჩალოს მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებისგან არ შესდგება, მაგრამ როგორ შეგვიძლიან მაზედ უარი ვსთქვათ, როცა 80 პროცენტი მიწისა იქ ქართველ მემამულეთა საკუთრებას შეადგენს. დასასრულ ჩვენ და „სახალხო ფურცელი" ყურადღებას არ ვაქცევთ იმ ემიგრაციის პროცესს, რომელიც ხდება ჩვენს ტერიტორიაზედ. ამ ჟამად იმიგრაცია ჩვენდა საზარალოდ ხდება, ჩვენ-ჩვენ ადგილებს სხვას უთმობთ და უკან ვიწევით. ასეთი რამ საბოლოო ტერიტორიალურ სტატუს-ქვოთ მიგვაჩნია და „სახ. ფურცელს" აქედან რეალურ მოსახლეობის პრინციპი გამოჰყავს. როგორც ხედავთ, ვერც ისტორიული პრინციპი, ვერც რეალურ მოსახლეობის პრინციპი წმინდათ ვერა სწყვეტს საკითხს. საკითხის ასეთის გადაწყვეტით მუდამ ნაკლი რჩება, რომლითაც ხან ჩვენ ვზარალობთ, ხან არა ქართული ელემენტები.

არც „თანამედროვე აზრის" ფორმულა სწყვეტს საკითხს, მიტომ, რომ არაფერს კონკრეტულს იგი არ იძლევა. მაგრამ სწორედ მიტომ, რომ იგი კონკრეტულს არაფერს შეიცავს, იგი არც ვნებს საკითხს. დასელები ანგარიშს უწევენ იმიგრაციის პროცესს და ხედავენ რა მასში დროებით ადგილების დაცლა-დაკავების მოძრაობას, წინააღმდეგნი არიან ეხლავე ფიქსაცია მოახდინონ ტერიტორიასა და მაზედ დროებით მცხოვრებ ამა თუ იმ ერის ნაწილებ შორის. აქედან გამომდინარეობს მათი უარყოფა საზღვრების დადგენის შესახებ. თუ ჩაუკვირდებით, შეხედულება სწორია და ერთად ერთიც თანამედროვე პირობებში. რათ უნდა ვიყოთ მაგალითად რეალურ მოსახლეობის პრინციპის მომხრე და დღეს იქ გავატაროთ საზღვრები, სადაც ეს სამზღვარი ხვალ ქართულ ელემენტს ველარ დაიტევს. ან რათ უნდა ვებღაუჭებოდეთ ბორჩალოს, თუ ჩვენი მემამულენი თავის მიწებს ხვალ უცხო ტომს მიჰყიდიან?

მათი ასეთი შეხედულება ჩვენც შეგვიძლიან გავიზიაროთ, მაგრამ ერთის შესწორებით. ქართული პოლიტიკა გულ-გრილათ არ უნდა შესცქეროდეს პროცესს უცხოთაგან ჩვენის ტერიტორიის დაკავებისა და ყველანაირის საშუალებით უნდა უწყობდეს ხელს, რომ ჩვენთვის საჭირო ტერიტორიალური ნაწილები ჩვენ ხელში ვე დარჩეს.

**შ. ამირეჯიბი.**

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

**პარაკლისი.** უწმინდესი სინოდის განკარგულებით, როგორც სხვა ქალაქებში, გუშინ 8 ივლის, ქუთაისის საკათედრო ტაძარში იმერეთის ეფისკოპოსის გიორგისა და მთელი კრებულის მიერ გადახდილ იქნა სავედრებელი პარაკლისი, რათა გამარჯვება მიენიჭოს რუსის ძლევა მოსილ მხედრობას. პარაკლისის გადახდის შემდეგ გამოიტანეს ჯვარი, ხატები და ბაირაღები, მას გაჰყვა ყოვლად სამღვდელო გიორგი მთელი კრებულით და დამწრე საზოგადოება. შემოიარეს ქალაქის ბაღს ირგვლივ და შემდეგ სალოცავათ ბაღში შევიდნენ. ამ კრებულს შეუერთდა აგრეთვე სამხედრო ლაზარეთის კრებული თავის მგალობლებითა და ქალაქის ბაღში მხურვალეთ ილოცეს. ლოცვას ბაღში დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **წ. კ. საზოგადოების კრება.** დღეს, 9 ივლის, საღამოს 8 საათზე შავი-ქვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქართ. შორის წ. კ. გამავრცელებელი საზ. ქუთაისის განყოფილების ახალი გამგეობის მორიგი კრება. კრებას ასარჩევი ჰყავს სხვა და სხვა სექციის წევრები.

✦ **დრ. საზოგადოება.** ქუთ. დრამატიული საზოგადოება მომავალი სეზონისათვის დასის მოწვევის შესახებ უკვე ზრუნავს. გამგეობის კრება ამის შესახებ დანიშნული იყო გუშინ, 8 ივლისს.

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი კოტილევსკი, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, თავის ადგილს ისევ უბრუნდება.

✦ **პოლიციელების შესახებ.** ბ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ მეფის მოადგილეს განუსაზღვრავს ქ. ქ ქუთაისისა, ფოთისა და ოზურგეთის პოლიციელების რიცხვი. ამრიგათ ქუთაისში უნდა იქნეს 21 უფროსი პოლიციელი (გოროდოვოი) და 96 უნცროსი, ფოთში 5 უფროსი და 32 უნცროსი; ოზურგეთში 2 უფრ. და 8 უნცროსი. ქუთაისში ამ პოლიციელებზე წლიურათ დაიხარჯება 29,310 მანეთი, ფოთში 9,180 მ. და ოზურგეთში 2,520 მანეთი. სულ სამივე ქალაქს ეხარჯება 41,140 მან. აქედან 24,990 მანეთს გადაიხდის ხაზინა, დანარჩენს კი ქალაქის თვითმართველობები.

✦ **შემოსავალი სეირნობაზე.** 5 ივლისს, დრამატიული საზოგადოების სეირნობაზე წმინდა შემოსავალი იყო 250 მანეთი. შესავალი ბილეთი გაიყიდა 1016 ცალი.

✦ **განკარგულება** გუბერნატორის განკარგულებით, საზოგადო საკრებულო საცა საღამოები იმართება უნდა იკეტებოდეს ღამის 3 საათზე. ხოლო უბრალო დღეებში კი 2 საათზე.

✦ **სამხედრო სამრეწველო კომიტეტი.** ქუთაისში განზრახვა აქვთ ამ მოკლე ხანში დაარსონ ქუთაისის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი. ამის შესახებ ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა აცნობა ბათუმის ოლქის ფაბრიკის უფროს ინსპექტორს.

✦ **შუამდგომლობა.** რამდენიმე პატივცემულმა პირმა ქალაქის თვითმართველობაში თხოვნა შეიტანა, რომ ქალაქმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ყაფანზე მოვაჭრეებს. აღნიშნვენ, როგორ ატყავებენ მცხოვრებლებს და ქალაქის გამგეობის წინადადებას აძლევენ, რომ ყოველივე სანოვაგეზე ნიხრი იყოს და წესებული.

✦ **ქურდობა.** სალორიის აგარაკზე, ვაგზლის მახლობლათ, ამ ბოლო ხანს მეტად გავრცელდა ქურდობა. იპარავენ შინაურ ფრინველებს, ქვეშაგებებს და სხვა ნივთებს. 4 ივლისს მოწაფე აბულაძეს ძილის დროს მოპარეს შარვალი და 3 მან. და 48 კ. ფული. აგრეთვე ტ. რუხაძეს ღამით ფანჯრიდან მოპარეს ქისა, რომელშიც იყო სამი მანეთი და ათი შ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს.

✦ **ჭყალდიდი.** როგორც სოფ. ჭყალადიდიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ. იქ წყალდიდობის დროს სახლები წყალში ერთი საჟენის სიმაღლეზე ყოფილა. დაიღუპა ყველა ოთხფეხი ცხოველი და ფრინველები ადამიანის მსხვერპლის შესახებ ცნობა ჯერ გამოურკვეველია.

✦ **ს. ქვარიანის საქმე.** ამ დღეებში ქალაქის საქმეთა საკრებულო გაარჩევს ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრის სიმონ ალექსის ძე ქვარიანის საქმეს, შესახებ იმისა მიეცეს მას ჯამაგირი ვადის გათავებამდი თუ არა.

✦ როგორც სოფ. აკეთიდან (ოზურგეთის მაზ.) გვწერენ, ამ საზოგადოებაში დამშეულების რიცხვი უდრის 692 კომლს. მათთვის საჭიროა სულ დასახმარებლათ 14947 ფ. სიმინდი. ამ დღეებში იმათ სიმინდი კიდეც დაურიგეს, მაგრამ სიმინდი შედარებით უფრო შეძლებულებს ერგო.

✦ **თეატრი.** კვირას, 12 ივლისს, ქალაქის თეატრში მსახიობი დ. ჩარკვიანი მართავს წარმოდგენას ჩვეულებრივ ფასებში.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე რევმატიზმით მძიმე ავათ არის.

✦ ორშაბათს, 6 ივლისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ვაგონების გამაწესრიგებელი კომისიის კრება, რომელმაც ქუთაისის ვაჭრებს სანოვაგის შემოსატანათ ვაგონები გაუწესრიგა.

✦ **აბრეშუმის პარკი.** ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის პარკის შემოსვლამ ძლიერ იკლო. გუშინ ქუთაისის ბაზარზე ძლივს 30 ფუთი პარკი შემოვიდა. დღემდი სულ შემოსულა 5,000 ფუთი პარკი. პარკის შემოსვლა ამ კვირაში სულ შეწყდება. გუშინ, 6 ივლისს, ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის პარკის ფასი 18 მანეთამდის ავიდა.

✦ **ხარაზოვის ბაღი.** ივანოვის ქუჩისა და ძველი თბილისის ქუჩის კუთხეში იმყოფება სამღვდელოების ადგილი ეგრეთ წოდებული „ხარაზოვის ბაღი". ეს ადგილი თითქმის უპატრონოთ არის მიტოვებული. იქ დგას უზარმაზარი მუხის ხეები, რომელიც ტრიალ ადგილს ამშვენებს, მაგრამ გაჩნდენ ისეთი პირები, რომ ამ მუხებს მიუჩნდნენ და ტოტებს სჭრიან. თუ დრო იხელთეს ძირიანათაც სჭრიან. კარგი იქნება სამღვდელოება ამ ფრიად საჭირო ადგილს ყურადღებას მიაქცევდეს და უპატრონებდეს, თორემ ისეთ ძვირფას მუხებს, როგორიც იქა სდგას ვეღარ ელირსებიან.

✦ **ჯარის კაცების გაწვევა.** ქუთაისის მაზრაში იმ ახალგაზდათა გაწვევა, რომელნიც დაბადებულნი იყვნენ 1895 წელში უკვე დასრულდა. მოკლე მომავალში გაიწვევენ 1896 წ. დაბადებულ ახალგაზდებსაც.

✦ **სურსათი.** 1-დან 5 ივლისამდე ქუთაისში რუსეთის ქალაქებიდან შემდეგი სანოვაგე შემოვიდა: პურის ფქვილი—13 ვაგ. შაქარი—3 ვაგ. და 150 ფუთი. შეშა—2 ვაგ. თივა—4 ვაგ. ბზე—2 ვაგ. ქვანახშირი—2 ვაგ. და სხვა და სხვა საბაკალეინო ნივთები სულ 2,562 ფუთი.

✦ პარასკევს, 3 ივლისს, ღამის 11 საათზე, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოდან განთავისუფლეს მცხოვრები სოფ. ზეინდარის, ქუთაისის მაზრისა, თავადი კონსტანტინე (კოწია) ბარომისძე ერისთავი, რომელსაც მისჯილი ქონდა რვა თვის ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი ყოველივე ღირსების და უფლებების ახდით.

✦ ოქმები. ქალაქის სანიტარებმა ვ. ბეჟანიშვილმა და ილია ჩაჩანიძემ უსუფთაობისათვის ოქმები შეუდგინეს თბილისის ქუჩაზე—რაფიელ მოშიაშვილს, ძველი თბილისის ქუჩ. ვახტანგ კეკუას და თედორე ანტონ—ოღლის, გელათის ქუჩაზე—მიხეილ ელიგულაშვილს და ბერუჩაშვილის ქუჩაზე: იოსებ გაწკევლიშვილს, რუთან ციციაშვილს და გაბრიელ ელიგულაშვილს.

✦ ოქმიბაზრის ზედამხედველმა ი. გილოვანმა ოქმი შეუდგინა მეფურნეს ოგანეს-ჩოროდვიანს უსუფთაო პურის გამოცხობისათვის.

## მოწერილი ამბები.

**საჩხერის ავკარგი.** ომის გამო საჩხერესა და მის გარშემო სოფლებს დიდი ზარალი მოუვიდათ, ვინაიდან ჭიათურაში შავი ქვის მუშაობა შეჩერებულია და თანაც ახალგაზდა მუშა ხელის უმრავლესობა ომშია გაწვეული.

რაც შეეხება დამოკიდებულებას ებრაელებსა და ქართველებს შორის კარგს განწყობილებაში არიან, სარწმუნოებრივი ფანატიზმი არ არსებობს და ხშირათ ებრაელების ხახამი ომში გარდაცვალებულ ქართველთა სულს იხსენიებს ლოცვის დროს. სხვათა შორის ომში მოკლულ ცნობილ ქველმოქმედ კნეინა ელისაბედის ვაჟის თავადის მიშა (მიხეილ) ალექსანდრეს ძის წერეთლის სულს, ხაიმ ელდოს ძე თოფრუაშვილი თითქმის-აგერ ექვსი თვეა რაც სალოცავში ლოცვის დროს ყოველს შაბათს დაბადების გამოსვენების დროს იხსენიებს ხოლმე. კარგი იქნება სხვა ერებიც ძმურათ აგრე კარგს განწყობილებაში იქნებოდნენ, როგორც ებრაელები და ქართველები არიან. **საჩხერელი ებრაელი.**

## ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

(იხ. გაგრძელება. ,,სამშ.'' № 123.)

### დასასრული.

ია ეკალაძე შენიშნავს გამგეობას რომ საკითხი ისე არ დააყენა, როგორც მან წინა კრებაზე შემოიტანა; იგი არ ეთანხმება გამგეობის დადგენილებას, შესწორებას უკეთებს და გამოსთქვამს თავის აზრს*), რომ თუ უნდა გამგეობას საზოგადოებაში შემოვიდეს მონაწილეობა მიიღოს მშრომელმა ხალხმაც, რათა მანაც იგრძნოს და იგემოს მადლი ამ სიმპატიური და კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებისა, ამასთანავე გაფანტოსის ეჭვი, რომელიც დიდი ხანია დაბადებულია მდაბიო ხალხში, რომ ვითომ დღევანდელ გამგეობას არ სურს მათი შემოშვება ამ დაწესებულებაში, აუცილებრივ საჭიროა შემცირებულ იქნას გადასახადი მანეთამდე, ამიტომ ამის შესახებ აქაურმა განყოფილებამ მიიღოს თავისთავზე ინიციატივა და აღძრას შუამდგომლობა [illegible] გამგეობის წინაშე; ამით გამგეობა წევრთა რიცხვს [illegible] ხალხის, მასის მოთხოვნილებასაც ანგარიშს გაუწევს.

კრება ტაშის ცემით ეგებება ამ სიტყვას.

დ. უზნაძე. წინადადება შემოაქვს საკითხი გამორკვეულად ჩაითვალოს და კამათი შეწყდეს.

პ. მიქელაძე. აცხადებს, რომ მას ქონდა აგენტურა მონდობილი წევრთა საშოვნელათ და სამი მანეთის გადახდა არა თუ შეუძლია პირებს, შეძლებულებსაც კი დაეზარათ, ამის გამო საჭიროა შემცირდეს.

გ. ლალიძე.. კენჭი ეყაროს საკითხს.

გ. ურატაძე. სიტყვას თხოულობს; თავმჯდომარე და კრება საკითხს გამორკვეულად სთვლის.

კამათი გრძელდება; ლაპარაკობენ გ. ურატაძე, ა. ჯ ნელიძე, გ. ლალიძე, ი. ოცხელი.

თავმჯდომარე. აზრი გამორკვეულია, ერთი ჯგუფი მოითხოვს სამი მანეთი დარჩეს, მეორე კი, მანეთის მომხრეა, ამიტომ ამ საკითხს ეყაროს კენჭი.

ს. რობაქიძე. ფორმულას აყენებს: ეთხოვოს მთავარ-გამგეობას, საზოგადო კრებაზე აღძრას შუამდგომლობა წესდების შეცვლის შესახებ.

თავმჯდომარე. წესდების შეცვლა $^2/_3$ კრებისამ უნდა დაადასტუროს.

გ. გიორგაძე, კრებას არ შეუძლია მოითხოვოს წესდების შეცვლა.

ე. გეგეჭკორი ჩვენ არა გვაქვს უფლება შევცვალოთ, რომელიმე მუხლი წესდებისა, არამედ შეგვიძლია სურვილი გამოვსთქვათ.

ტ. ჯაფარიძე. ვინაიდგან წესდების შეცვლას ეხება ეს სურვილი, საზოგადოების უმრავლესობით უნდა იქნეს გამოთქმული.

გ. გველესიანი. წესდების შეცვლა არა თუ კრების $^2/_3$, მთელად ჩვენ საზოგადოებასაც არ შეუძლია; ჩვენ შეგვიძლია მარტო სურვილი გამოვაცხადოთ.

გ. ურუტაძე. ჩვენ მოვითხოვთ და ასრულება კი მთავარ-გამგეობის საქმეა.

გ. ლალიძე. წესდების შეცვლა არც ერთს არ შეუძლია, უნდა აღიძრას შუამდგომლობა; საკითხი ფარული კენჭით გადაწყდეს.

ბ. მასეშვილი. ან მიიღოს $^2/_3$ კრებისამ ეს გადაწყვეტილება, ან კენჭის ყრით გადაწყდეს.

ტ. მარგველაშვილი. წესდების მუხლის თანახმად გადაწყდეს საკითხი.

ი. ოცხელი. კენჭი უყაროთ; გავიდეს $^2/_3$ ხმით თუ უმრავლესობით, ვაცნობოთ მთავარ-გამგეობის.

გ. ზდანოვიჩი. განმარტებ-ახსნას უკეთებს წესდების მუხლებს და ეთანხმება ი. ოცხელის წინადადებას.

თავმჯდომარე. წინადადებას აძლევს კრებას ხელი ასწიოს ვინც მომხრეა, რომ საკითხი კენჭის ყრით გადაწყდეს; კრება ხელს წევს და იდგმება ყუთები, როგორც გამგეობის და სარევიზიო წევრთა ასარჩევათ, აგრეთვე ამ საკითხის გადასაწყვეტად. ყუთების დადგმის შემდეგ ასახელებენ წევრებს; შემდეგ კრებას წევრნი მოილაპარაკებენ და არჩევენ შეთანხმებით ათავებენ, უკენჭოთ, რისთვისაც ყუთებს აალაგებენ და სტოვებენ ერთ ყუთს საწევრო გადასახადის საკითხის შესახებ; მოხდება ფარული კენჭის ყრა და მანეთის მომხრე აღმოჩნდება 45, სამი მანეთისა კი—18. კრება აღტაცებით და ტაშის ცემით მიეგებება ამ გადაწყვეტილებას.

გამგეობაში არჩეულ იქნენ:

გ. გიორგაძე, გ. ტუსკია, ე. ჩხატარაიშვილი, ი. ბაქრაძე, გ. ზდანოვიჩი, ი. ოცხელი, მელ. გველესიანისა, ს. რობაქიძე, ს. ხუნდაძე, ი. ფანცხავა, მ. ვარდოსანიძის ასული, ბ. ფირცხალაშვილი, რ. კანდელაკი, ს. ყიფიანი და გ. მოსე-

---

*) რადგანაც ანგარიში მეტად გაგრძელდა, ამის გამო ორატორთა სიტყვები შევამოკლე. **ლ. ბ.**

შვილი, —სულ 15.

სარევიზიო კომისიაში: მ. ბასილაია, ბ. ჯაიანი და ი. კვიცარიძე.

კანდიდატებათ: ს. წერეთელი, გ. შარაშიძე, გ. გიგინეიშვილი და ტ. მარგველაშვილი.

**ლადო ბზვანელი.**

## წყალდიდობა.

**ლეჩხუმი.** საშინელება, საცოდაობა დატრიალდა 25 ივნისს ს. ზუბში. ნიაღვარმა წაიღო 16 მოსახლე. იმათ ბარობაზე არ დარჩენილა არც ერთი სული ადამიანისა, არც პირუტყვი და არც სახლკარობა. იმსხვერპლა 33 ადამიანი. ამათში ორნი კუხალაშვილები, ერთი ამბროსი და მეორე აფთიონი ნახეს წკვდარ-ცოცხლები მირიყულნი და ერთს ხის შტოზე მიმაგრებულნი. დანარჩენების გვამები ნახეს ზოგი ისევ ჩვენს მაზრაში და ზოგიც სენაკის მაზრაში, ზოგი ცხვირ მოგლეჯილნი, ზოგს ფეხი და ხელი არ ჰქონდათ. ერთი ქალი ნახეს ნაოღალევში თავისი ბავში ჩაეხუტებია გულში და მიცვებული იყვნენ დედა შვილი ერთ მეორეზე ისე, რომ მოცილება თუ არა მკვლავების მომტვრევით, ისე არ შეიძლებოდა იმათი; ამათი სურათი იქვე გადიღეს მთავრობამ.

ესღა აკლდა წელს ხალხის გამოკლებას, ისედაც ვინ დასთვლის რამდენი ლევს სული ბრძოლის ველზე.

**კნეინა ტიპი ხელოვნისა.**

## ბუნებამაც ომი გამოგვიცხადა.

მსოფლიო ომით გამოწვეული ქარტეხილი აღარ აკმარა განგებამ საბრალო ხალხს და თვით ბუნების შეუძლებელმა სტიქიამაც მოიტანა მასზე იერიში.

ვინც წელს ლეჩხუმ-სვანეთის ამინდებს ხედავს, ნამდვილი ღვთის რისხვის სურათი ეშლება თვალ წინ. გამუდმებულმა უჩვეულო ნიაღვრებმა აქაური ისედაც მთა-გორიანი ადგილები მთლად დააქცია და ზღაპრულ ხრამებათ აქცია. ოფლით დაწვრილმანებულმა მუშა ხელმა, თუ შესძლო მცირეოდენი ნაოფლარი მიწისთვის მიებარებია მომავალ საზრდოთ, ეს ისე წაიღო და მოსპო მუდმივმა ნიაღვრებმა, რომ ხალხს აღარა დარჩენია რა გარეშე აუცილებელი შიმშილის მოლოდინისა. ვენახი და ხეხილი ხომ გაზაფხულის უცნაურმა ყინვებმა და სიცივეებმა მთლად მოსპო. მოდიდებულმა მდინარეებმაც სრულიად წაიღო და მტრის ნათარეშებს დაამსგავსა გზები, ხიდები და მთელი მიდამოები. ყოველი ეს შემაძრწუნებელი სურათი ბუნებისა თითქოს გვეუბნება: „ადამიანთა ულმობელობამ მეც ამაღელვა, დედა მიწაზე დაღვრილმა სისხლმა გული დამიწვა, თოფ-ზარბაზნების გუგუნმა ჰაერი შემიხუთა და დედათა კვნესა-გოდებამ სულის მყუდროება დამირღვია და ახლა მინდა წვიმითა და ნიაღვრით, მაგ სისხლითა და ცრემლით შესვრილი დედამიწა გადავრეცხო, ქარიშხალით ჰაერი შევამსუბუქო და ელვა-ქუხილით კი დევრჩილო დედამიწიდან მონაბერი კვნესა და გმინვა... სწორეთ რომ საშინელია ჩვენთვის აწმყო და და საშიშარი საეჭვო—კი მყობადი, რომლის ილიუზიის თვალით გახედვაც კი გაკრთობს და გაშინებს კაცს, ვინძლო ისეთი რამ არ დავინახო, რომ ეს ერთად ერთი მასულდგმულებელი ცარიელი იმედიც კი არ დავკარგოთ...

თუ ვინმე დაუჯერებს ლეჩხუმ-სვანეთს, შიმშილობის ფერხულში მასაც საკმაო ადგილი უჭირავს. არავის ახსოვს, რომ ლეჩხუმში გორო სიმინდის (გორო, ოთხი ბათმანია) ფასი ორ მანეთ ნახევარზე ზევით აწეულიყოს, წელს კი, თუ იშოვე, ოთხ მანეთად და ოთხშაურათ ფასობს. ხოლო სვანეთში—ექვს მანეთად.

ჩემი თვალით გავხდი რიცხვთა შორის ერთი შემაძრწუნებელი სურათის მნახველი. ამ ორი კვირის წინ ერთი ჩემი მეზობელი ქალი ორი პატარა ბალღით შემოწიწინდენ ჩემ სახლში, შიმშილისაგან აწრიალებულნი.—ჩემ შიმშილს არ ვჩივი, სთქვა შიმშილით ღონე მიხდილმა დედამ, მაგრამ, აი, ამათი საცოდაობა მკლავს, რომელთაც მესამე დღეა არა უჭამიათ რა ო და შიმშილით თითები წაიტკვრეს. და, მართლაც, ყველა თითიდან ბავშვებს სისხლი სდიოდათ...

სწორეთ რომ ძარღვების ნაცვლად რკინის სიმები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მან ჩვეულებრივი სიცოცხლე განაგრძო ამ ჟ. დ. ულმობელ ხანაში.

ნუ თუ მეტი აღარა დაგვრჩენია რა, რომ, მხოლოდ ხელ გულ დაკრეფილმა ვიკითხოთ „როდემდის!!? როდემდის ასე“!!?

**ლაჯანელი ბანოვანი.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ხარაგოული** (შორაპ. მაზრა). ადგილობრივი დრამ. საზოგად. და სამკითხველო. წინა წერილში ჩვენ ლაპარაკი გვქონდა დ. ხარაგოულში, დრამ. საზ. დაარსების შესახებ, მაგრამ ოდნავათაც არ შევხებივართ იმას, თუ რა დაბრკოლება ეღობებოდა მას წინ და უშლიდა ხელს მის საბოლოოდ გადაწყვეტას. საქმე იმაშია, რომ დ. ხარაგოულშივე კარგა ხანია არსებობს მეორე, უსაჰიროესი კულტურული დაწესებულება—სამკითხველო; და, აი, სწორეთ ამ სამკითხველოს რამდენიმე წევრი, ცხადათ თუ ფარულად, წინააღუდგა დრამ. საზოგ. დაარსების აზრს და, რამდენათაც ვიცით, საბუთად ის მოსაზრება (უფრო კი ფაქტი) მოჰყავდათ, რომ, აქაი და დრამ. საზოგადოებისთვის კი არა სამკითხველოსთვის ვერ მოგვილიათ და ეს რომ ასეა, ჩვენც კარგათ ვიცით: სამკითხველო მოუვლელობას, უპატრონობას განიცდის. ახლა, გადავდივართ რა სამკითხველოს მესვეურებზე—გამგეობასა და მის წევრებზე, ვკითხულობთ: [რატომ არ შეუძლიათ მათ მოუარონ და უპატრონონ სამკითხველოს, რომელიც თითქმის ღვთის ანაბარაა მიტოვებული, რადგან ჩვენ არ ვხედავთ მის შესახებ გამართულ კრებებს, მისი საქმეების გადაშინჯვა-გადათვალიერების და საწევრო გადასახადის წევრების მიერ პირნათლად თავის დროზე გაღებას. ეს უკანასკნელი, ე. ი. საწევრო ფულის გადახდა, რომ ნორმალურად იყოს მოწყობილი, მაშინ ის სახლის ქირა მაინც, რომელშიაც სამკითხველოა მოთავსებული, შედარებით ადვილათ და უდავიდარაბოთ იქნებოდა გასტუმრებული; დღეს-დღეობით-კი, სახლის ქირის გადახდა, თითქმის, სავსებით, კისერზე აწევს იმ სცენის მოყვარეთა მცირე ჯგუფს, რომლის სულის ჩამდგმელიც, სამიოდე ენერგიით აღჭურვილი ახალგაზდაა და ესენიც, რაც ძალი და ღონე შესწევსთ, თავს არ იზოგვენ იმისთვის, რომ სამკითხველოს არსებობა გაუადვილონ. და სწორეთ ამითი აიხსნება ის, რომ სცენის მოყვარეთა ჯგუფი, თავისი მესვეურებით, თავის თავზე საზრუნავ დროს, ე. ი. სცენის მოწყობისთვის დროს და მატერიალურ შეძლებას ველარ პოულობს, რის შედეგიც სამწუხარო სურათად გვევლება თვალწინ: დ. ხარაგოულის სცენა საცოდავათ ბოგინობდა და დღესაც ბოგინებს; ამ მხრივ, რას იზამს ახლად დაარსებული დრამატ. საზოგად. ამას მომავალი გვიჩვენებს. ყველა ზემო ნათქვამის შემდეგ, მივმართავთ ადგილობრივ ნორჩ დრამატიულ წრეს და ვუსურვებთ თავისთავზე უფრო მეტ მზრუნველობას და მუყაითობას, ხოლო ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობას და მის წევრებს სიფხიზლესა და მოქმედება-შრომის უნარს, რომ სხვის ამარა არ ყოფილიყვნენ და თვისივე მოქმედებით შეექმნათ ის, რასაც სხვისგან გამოელიან. გარეშე ამისა ორი ძვირფასი და უსაჰიროესი კულტურული დაწესებულების ბედი: დრამ. საზოგ. არსებობა და სამკითხველოს კეთილდღეობა—მუდამ საფრთხეში იქნება.

**ხშირი სტუმარი.**

## სამურზაყანოს ჭირისუფლები.

მაისის პირველ რიცხვებიდან სამურზაყანოში შემთხვევით დავრჩი ერთ თვეს. ამ ერთი თვის დაკვირვება იქაურ ზნე-ჩვეულებასა და მდგომარეობაზე მინდა გავაცნო მკითხველ საზოგადოებას.

სამურზაყანო როგორც მოგეხსენებათ მდებარეობს სამეგრელო-აფხაზეთს შუა. ზნე-ჩვეულება ნახევრათ აფხაზურია. მაგალითად, სიზარმაცე სავსებით აქვთ გადმოღებული აფხაზებიდან. ბევრჯერ გამიგონია ზოგიერთი პირისაგან, რომ უმუშევობა რომელიმე მხარისა ბუნებაზეა დამოკიდებულო. თუ ბუნება აჯილდოებს მოსავლის მხრით რომელიმე მხარეს, იმ მხარის მცხოვრები უფრო ზარმაცებიაო. ერთი მხრით—მართალია. სამურზაყანოს ნიადაგი ისე უწყობდა ხელს, რომ სიმინდი და სხვა პურეული ბევრი მოდიოდა. იქაური სიმინდი აუარებელი გადიოდა შავი ზღვით ოსმალეთში და საქართველოს სხვა მხარეებშიაც. ამისათვის აშენებულია ხის დიდი ყაზარმები სოფ. გუდავაში ზღვის პირას და დაბა ოჩემჩირეში. აქაურ ნაწარმოებს შეადგენდა, სიმინდი, ბამბა, აბრეშუმი და ღომი. შარშან კი ისე მოისპო მოსავალი, რომ, თუ რომელიმე ოჯახი ყიდდა რამოდენიმე 1000 ფუთს სიმინდს, დღეს პირ იქით ყიდულობს 100 ფუთს, მაგრამ საყიდელს ვერ შოულობენ და შიმშილობა ელვის სისწრაფით მოედვა მთელს სამურზაყანოს. ამასთან გავრცელდა ქურდ-ბაცაცობა და ავაზაკური თავ-დასხმა. თუ ორიოდე მუშა ხელი მოიპოვება, ახალ რკინის გზაზე მუშაობენ უმნიშვნელო ფასებში. მაგალითად, აძლევენ მუშას თვეში 25 მ. და ნესტიან ფარდულებში ბინას. უქვითავენ უქმე-ავდრიან დღეებს და ორ თვეში ეგები ერთი თვის ანგარიში მიიღონ. სხვა საშუალებას ფულის საშოვნათ მოკლებული არიან.

სოფ. გუდავაში არსებობს წვრილი კრედიტის შემნახველ-გამსესხებელი ბანკი, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა სოფელს სიმინდის შეძენით. არსებობს სამრევლო სკოლაც. ამ ბანკის მესვეურნი ადგილობრივი აზნაურობა და ადგილობრივი ღვდელი ბ. ხარებავაა. ამ უკანასკნელის დაუღალავი შრომა და უანგარო სიყვარული თავის მრევლისადმი დაუფასებელია. მ. ხარებავა დამდგარა ამ ბანკის დაარსების სათავეში და დღესაც უკანასკნელ ძალ ღონეს ხმარობს მის კეთილ-წარმატებისათვის, სკოლის ავ-კარგშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, იღვა თავზე სამღთოსჯულისა და თვალსაჩინო საგნების ქართულ ენაზე სწავლება. წირვა-ლოცვასა და ქადაგებას ქართულად ასრულებს. ნუ დაივიწყებთ, რომ ბევრი მღვდელი, თითქმის, სულ რუსულად წირავენ. აყვარებს ხალხს ქართულ ენაზე წერა-კითხვა-ლაპარაკს. თავის წმინდა ქადაგებაშიც აღვიძებს ხალხში წმინდა ეროვნულ გრძნობებს. მხვდა წილად დავსწრებოდი მისს წირვასა და ქადაგებას. მისმა სადმა მჭევრმეტყველებამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მთელ სამურზაყანო - აფხაზეთში სამღვდელოების მეოცედსაც არ აინტერესებს საეკლესიო წესების ქართულ ენაზე შესრულება და საზოგადო საქმისთვის ხომ ერთ წუთსაც არ გაცდებიან. ავიღოთ, მაგალითად, სამურზაყანოს დაბა გალი, სადაც 3—4 ტიპის სასწავლებელი არსებობს და ერთს ქართულ მასწავლებელს ადგილი არა აქვს. როდესაც სამღვდელოების კრება მოხდა დაბა გალში, არც ერთს კრინტი არ დაუძრავს ქართული ენის აუცილებელ სწავლაზე. მხოლოდ მ. ხარებავამ ამოიღო ხმა და უსაყვედურა კოლეგებს ამ საკითხზე სიჩუმისათვის, ახლა კი ქშწ. კ. გ. საზოგადოებამ დანიშნა ქართული ენისა და გალობის მასწავლებლები.

დიდი დახმარება აღმოუჩინა ზოგიერთს ღარიბ ოჯახს ამ შიმშილობის დროს თვის კერძო ქონებიდან. დიდათ ეხმარება ხალხს მედიცინის მხრითაც, რაც-კი გამოცდილება აქვს, უსასყიდლოთ და დაუზარებლათ არავისათვის არა შურს. ერთი სიტყვით, ხარებავა თითით საჩვენებელი პიროვნებაა და ვისურვოთ, რომ ბევრს სულიერ პირს მიებაძოს მისთვის. პატივცემული მოძღვარი მისაბაძი მაგალითია თვით სოფლის მასწავლებლისათვისაც, რომლებზეც დამყარებულია სოფლის ბედ-იღბალი სწავლა-განათლების მხრით.

**ძმისული.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს გაზეთში. 11 ამ თვეს თფილისში, სასტუმრო „პრიმა“-ში რევოლვერით თავი მოიკლა პორუჩიკმა ვასილ ექვთიმეს ძე თვარაძემ. განსვენებული დიდგან მობილიზაციის გამოცხადებისა ჩვენთან ერთად მსახურებდა. ზედმიწევნით კეთილი, პატიოსანი და საამხანაგო კაცი იყო. ძლიერ სურდა ომებში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ვერ მოასწრო... სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეუშალა.. დაბოლოს ავათმყოფობა დაიწყო. ნერვები აეშალა 8 ივნისს თფილისში გამოვგზავნეთ დასასვენებლათ და საქმიოთ. თერთმეტს კი თავის თავს ბოლო მოუღო. თუ რამ აიძულა განსვენებული ასე მოქცეულიყო, ამას მისი წერილი გვეუბნება, რომელიც სიკვდილის დღეს დაწერა და რომლის თარგმანიც აქვე მოგვყავს:

ივნისის 11 დღეს 1915 წ.

„გონება ჩემი სიბნელემ მოიცვა. ხსნას ვერ ვხედავ. აუტანელად მძიმეა. მთელი არსება შიშმა აღავსო. ბედისწერა მდევნის ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთ. თვითონ გავდივარ ამ ცხოვრებიდან. ვმსახურებდი პორუჩიკათ 587 ქუბანის ქვეითთა დრუჟინაში და ახლაც იქ ვითვლები. გამომგზავნეს თფილისს სამხედრო ჰოსპიტალში საქციოთ, სანიტარული ბილეთი და მოწერილობა უბის წიგნში მაქვს. მიწოდებენ ვასილ ექვთიმეს ძე თვარაძეს, ოპოლჩენიის პორუჩიკს. ფული ათას მანეთამდე ჯიბეში და უბის წიგნშია; უკანასკნელშია სანიტარული ბილეთი და მოწერილობა. საშინელებები ბუდობენ ჩემს ტვინში, რა ვუყო იმათ.

587 ქუბანის ქვეითთა დრუჟინის პორუჩიკი ვასილ ექვთიმეს ძე თვარაძე.“

პოლიციის [illegible] მოჩენია 1004 (ათას ოთხი) მან. და 15 კაპ., ორი რევოლვერი და სხვა ნივთები. მშობლებს შეუძლიათ მიაკითხონ ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსს (Кутаисскій Уѣздный Воинскій Начальникъ), რომელსაც ამ დღეებში ყოველივე გამოეგზავნება, მათზე გადასაცემათ. მშობლები, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ცხოვრობენ ლეჩხუმში, მგონი, სოფელ ლაილაშის ახლოს. კარგს იზამს თუ ვინმე ნაცნობი შეატყობინებს მათ ფულისა და ნივთების ამბავს, თუ სად უნდა მიაკითხონ.

**მქიმი ესხევი ლოსაბერიძე.**

1915 წ. 23 ივნ. ბაიაზეთი.

## ღია წერილი.

„დე—ზ“-ს.

„სამშობლოს“ 114 №-ში წავიკითხე თქვენი წერილი, რომელზედაც უნდა გიპასუხოთ შემდეგი: მე თუ თანახმათ თქვენი წინადადებისა ავიხადე ფსევდონიმი (თუმცა კი მიცნობს საზოგადოება) და გაცნობეთ ჩემი ვინაობა, აწ თქვენ აღარ გაქვთ უფლება ფარდას ამოფარებული მელაპარაკოთ. თქვენი ფსევდონიმის ახსნას მედიატორეთა გადაწყვეტილებას ანდობთ, რაც მედიატორეთა უფლებას არ ეკუთვნის და არც მე გეთანხმებით, რადგან ეს ჩვენი საქმეა. მესამეჯერ გაძლევთ წინადადებას, აიხადოთ ფარდა და მაცნობოთ, როგორც მე და საზოგადოებას, ისე ჩემს მედიატორებსაც, თუ ვინ ბრძანდებით და ვისთან გვასვს საქმე, შემდეგ შეგიძლიათ მედიატორეთა გადაყენებაზე მელაპარაკოთ, თორემ თქვენ მანამდის რა უფლება გაქვთ ჩემი მედიატორე სიმონ მჭედლიძე გადააყენოთ, როდესაც მან არ იცის ვინ ბრძანდება „დე—ზი“, ან რა დამოკიდებულება აქვს მასთან. სად არის თქვენი ლოღიკა, როდესაც ლაპარაკობთ **„არც თვითონ ს. მჭედლიძე ისურვებს იყოს ჩვენ შორის მოსამართლეთ, იმ მიზნისა გამო, რომელიც თვითონ იცისო“** (ხაზი ჩემია). ახირებულია ასეთი თქვენი განცხადება! საიდან უნდა ვიცოდეთ „დე—ზი“ ვინ არის, როდესაც ის ფსევდონიმს ამოფარებული გველაპარაკება?!

დღეიდან სამი დღის განმავლობაში გამოაცხადეთ თქვენი ვინაობა ჯერ, თუ გსურთ სამართალი, თუ არა და ბოდიში მოიხადეთ პრესის საშუალებით.

**ლადო ბზვანელი.**

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ
გამოვიდა
„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

აბანო.
ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულად შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჰების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.
აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში